20-ს მარტს. № 9. 1886 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

1883-1886

«მწყემსი» დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ. ყოველი თვის ათს. ოცს ⁊ ოც და ათ რიცხვებში

ძნელი დრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად.

სტატია მეოთხე.

სალმრთო სჯულის ზოგიერთ მასწავლებელთ საკმაოდ მიაჩნიათ, თუ ცოტაოდენი ცოდნა გადასცეს მოწაფეთ მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე დ. რამდენიმე ტექსტი დაასწავლეს მოწაფეებს ზეპირად. თუ ეს ცოტა მაინც რიგიანად შეასრულეს, ფიქრობენ, რომ მათ გააკეთეს ყოველივე ის, რაც კი მოითხოვებოდა მათგან. მაგრამ თუ რა ზედგავლენა ჰქონდათ მათ ზნეობითად, მოწაფეებზე, აღზარდეს თუ არა მათ მოწაფეებში კეთილის და სიმართლის გრძნობა, გრძნობა კაცის პიროვნების პატივისცემისა და სხვა, ამაზე არავინ ფიქრობს და ეს კი დღეს შეადგენს უდიდეს ნაკლულევანებას სალმრთო სჯულის სწავლების საქმეში. ეს არის მიზეზი, რომ მოწაფე რომელიც სწავლობდა სასწავლებელში და რომელიც გამოვიდა გაუნათლებელი და ზნეობითად დაცემული ხალხისაგან, სწავლის შესრულების შემდეგ ისეთივე ბრუნდება შინ, როგორიც იყო სკოლაში შესვლის დროს. ხშირი მოვლენა არის ისიც, რომ მოწაფე სასწავლებელში შესვლის დროს კაი ზნის და ჭეშმარიტი მორწმუნე იყო, მაგრამ სასწავლებელში მასზე ისე იმოქმედეს მისმა ცუდმა ამხანაგებმა, რომ მან დაჰკარგა ისიც, რაც კარგი მიიტანა სასწავლებელში. შეიძლება ამისთანა პირმა ცოტაოდენი სწავლა შეიძინოს, მაგრამ ხშირად ამ გვარი სწავლა უფრო სამწუხარო არის, ვინემ სასიხარულო. თუ კაცი უზნეო და ურწმუნო არის, მაშინ სწავლა მისთვის ისე დიდად გამოსადეგია, რამდენათაც ხმალი ჭკუა მკ შლილისთვის.

როგორი სარწმუნოების და ზნეობის მასწავლებელია ის, რომელსაც მოწაფეები მთელს წელიწადში ორჯელ ვერ ხედვენ ეკკლესიაში და რომლის ცოვრებაში და სიტყვაში ვერაფერ ზნეობას ვერ ხედვენ—მოწაფეები? რა ზნეობით-სარწმუნოებრივი ზედ გავლენა უნდა იქონიოს სალმრთო სჯულის იმ მასწავლებელმა, რომელიც ლაპარაკობს სარწმუნოებაზე და ზნეობაზე, მაგრამ ლაპარაკობს ცივად და უგულოთ. წიგნში წაუკითხავსთ მოწაფეებს მისგან ნასწავლები ⁊ კინდ ამისთანა მასწავლებლებისათვის მოუსმენიათ, სულ ერთია. სალმრთო სჯულის ამ გვარ მასწავლებელს არას დროს არ შეუძლია გახადოს სარწმუნოება კაცის აღზრდის საშუალებად. ბანა ბევრია ჩვენში სალმრთო სჯულის მასწავლებლები, რომ ეს ნაკლი არა ჰქონდესთ? ძალიან ცოტანი არიან. რისთვის? იმისთვის, რომ, სამწუხაროდ, ჩვენში დღეს ძალიან ძვირია ღრმად მორწმუნე და მაღალზნეობით აღჭურვილნი პირნი. და რაც შეეხება სხვა საგნების მასწავლებელთ და აღმზრდელთ, რომელნიც სარწმუნოების და ზნეობის ცხოველ მაგალითებს უნდა აჩვენებდნენ თავიანთ მოწაფეებს, მათზე ლაპარაკიც არ შეიძლება. რა სასაცილოა და მავნებელი, როცა მოწაფეებს უბრძანებენ, რომ ერთგულად იარონ ეკკლესიაში, იმარხულონ და ეზიარონ და თვითონ კი არ ასრულებენ ყოველივე ამას. შეიძლება ზოგიერთებს ჩვენი სიტყვები არც კი მოეწონოსთ, მაგრამ რა ვქნათ. ჩვენ იმას ვამბობთ, რასაც ყველა ჩვენ თვალით ვხედავთ.

კეთილ მორწმუნე და მაღალ ზნეობის კაცს პირველ შეხედვისა თანავე იცნობენ ბავშებიც კი.

ამ გვარი პირების მაღალი თვისებანი იხატებიან ყოველ მათ მოქმედებაში და ამიტომ ამ თვისებათა წყალობით ეს კაცები ყველაში აღძვრენ ხოლმე მათდამი პატივის-ცემას. ამ გვარი თვისების მქონე კაცი არაფერს არ იტყვის მოუფიქრებლად და ან ფარისევლობით და ეს არის მიზეზი, რომ ყოველივე მათ სიტყვას აქვს მნიშვნელობა და ძალა. რასაკვირველია, რომ საღმთო სჯულის ამისთანა მასწავლებელს დიდი ზედ გავლენა ექნება მოწაფეებზე და ისინიც ერწმუნებიან და მიბაძვენ მას. და მართლაც ამფერ კაცს შეუძლია აღამაღლოს მოწაფეებში ზნეობა და სარწმუნოება, რომლებითაც თვითონ ის არის აღვსილი.

საღმრთო სჯულის რიგიანად სწავლებას ძალიან უშლის ხელს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ამ საგნის სწავლება ჩვენი სასწავლებლების უმცროს კლასებში სწარმოებს ქართველებისათვის გაუგებარ ენაზე. კაცის სარწმუნოება, მისი სულის მდგომარეობა, რასაკვირველია, უფრო თავისუფლად გამოიხატება იმ ენით, რომელიც მას დედის რძესთან ერთად აქვს შეწოვილი. ამიტომ სარწმუნოების გამოსახატავად უნდა იყოს ის ენა, რომელიც უფრო გასაგებია ხალხისათვის. როდესაც სწავლება სწარმოებს ბავშებისათვის გაუგებარს ენაზე, ეს ძალიან ვნებას აძლევს ყოველი საგნის რიგიანად შესწავლას, მაგრამ ეს ვნება და ზარალი უფრო შესამჩნევია საღმრთო სჯულის სწავლებაში, სადაც საჭიროა, რომ კაცმა თავის სარწმუნოებრივ-ზნეობითი აზრი, გრძნობა და სულის მდგომარება გაგებით გამოხატოს. განა ჩვენი ბავშები, საუბედუროდ, ამ ფერი მდგომარეობისაგან თავისუფალნი არიან? ამ კითხვის განმარტება მიგვინდვია იმ ქართველ მშობელთათვის, რომელთაც ყოველ წლობით შეჰყავთ თავიანთი შვილები გიმნაზიის და სხვა სასწავლებლების ძირა კლასებში და სადაც ამ პატარა ბავშებისაგან, რომელთაც რუსული ენის არაფერი გაეგებათ, ითხოვენ ზოგიერთი ლოცვების სლავიანურად ცოდნას. მინც კი დასწრებია ამ ეკზამენებზე, ყველა შენიშნავდა, რომ ბავშები, მართალია, კითხულობენ ზეპირად, მაგრამ მათ ერთი სიტყვაც არ გაეგებათ ამ ლოცვებისა და ზოგიერთები ამას ეძახიან საღრმთო სჯულის ეკზამენს! ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ეს ბავშები თავის დღეში ვერ გაიგებენ ამ ლოცვების ნამდვილ აზრს და მნიშვნელობას; იქნება დრო, როცა ეს ბავშები გაიგებენ იმ ლოცვების აზრს და მნიშვნელობას, რომელნიც, ლოცვები, მათ დაასწავლეს თავდა-პირველად, მაგრამ ეს ძალიან გვიან იქნება. ყმაწვილობაშივე, როცა ბავშის გულში და სულში ყოველივე შთაბეჭდილება სიკვდილამდე რჩება, უნდა ვმეცადინობდეთ, რომ ბავშების გულში და სულში აღვბეჭდოთ სარწმუნოებრივ ზნეობითი შთაბეჭდილებანი, თუმცა გვსურს, რომ შემდეგ ამ შთაბეჭდილებათ სასურველი ნაყოფი მოიტანონ. თორემ გაუგებრად ლოცვების დასწავლა არაფერ კაი შთაბეჭდილებას არ ახდენს ბავშში. შემდეგში შეიძლება მათ გაიგონ იმ ლოცვების აზრი, მაგრამ ეს ლოცვები იმ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენენ ბავშებზე, რასაც მოახდენდენ ისინი თავდაპირველად, რომ მაშინ ეს ლოცვები გასაგები ენით ესწავლებიათ ყმაწვილებისათვის. ამიტომ ძალიან სასარგებლო იქნებოდა, რომ საღმრთო სჯულის სწავლება ჩვენს სასწავლებლების ძირა კლასებში მაინც სწარმოებდეს ქართულს ენაზე იქომამდე, სანამ ჩვენი ბავშები საკმაოდ შეისწავლიდნენ რუსულს ენას. კაცი უნდა ლოცვილობდეს იმ ენაზე, რომელზედაც მას ადვილად შეუძლია თავის აზრის გამოხატვა, თორემ ძალადობა კაცს ყოველისფერზე გულს უცრუებს. ამ ანორმალურს მდგომარეობას დღეს ყველანი გრძნობენ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთ არა სანატრელ მდგომარეობას მალე მოეღება ბოლო. ჩვენ, ქართველებისათვის საჭირო და სასარგებლოა რუსული ენის შესწავლა, მაგრამ ამ შესწავლამ არ უნდა აჟნოს ბავშში სარწმუნოებრივ-ზნეობითი გრძნობების აღორძინებას.

გარდა ამისა ძალიან ცუდი ზედ-გავლენა აქვს სხვა-და-სხვა სასწავლებლების მოწაფეებზე იმ გარემოებასაც, რომ ამ სასწავლებლების ყველა მოწაფეებს ერთ გვარად არა სთხოვენ სარწმუნოების ზოგიერთ მოთხოვნილებათა შესრულებას ცხოვრებაში. მაგალითებრ სასულიერო სასწავლებლებში მოწაფეებს უფრო სასტიკად სთხოვენ, რომ მათ მუდამ იარონ ეკკლესიაში ღვთის მსახურების მოსასმენად, დაიცვან მარხვა, მიიღონ წმინდა ზიარება, იუქმონ ეკკლესიური დღესასწაულები და სხვა, ვინემ სხვა საერო სასწავლებლების მოწაფეთ.

მართალია, რომ ყოველს სასწავლებელს აქვს თავის მიზანი და ამ მიზნის მიხედვისა მებრ ზოგიერთ საგნებს უფრო ვრცლად გადიან ზოგ სას-

წავლებლებში და ზოგს უფრო ნაკლებად, მაგრამ ამ გვარიცე გაცალკევება არ შეიძლება სარწმუნოების შესახებ, რომელიც ყველა სასწავლებლების ოწაფეთაგან ერთგვარად უნდა იქმნეს აღსრულებული. ასეთი გაცალკევება არის მიზეზი, რომ სხვადა-სხვა სასწავლებლების მოწაფენი თავისებურად სჯიან სარწმუნოების ზოგიერთ მოთხოვნილებაებზე.

ცოტ-ცოტა ყველაფერზედ. *)

«მწყემსის» ზოგიერთს ნომრებში იყო ხოლმე გოდება იმაზედ, რომ ბევრი ქართველთა ტომნი გადუდგნენ ქრისტეს სარწმუნოებასა და ამ ნაირად დაეკარგეთ ძმებიო. მაგალითად იყვნენ მოყვანილნი ის ქართველთა ტომნი, რომელნიცა შაჰ-აბაზს წაუყვანია ტყვედ და დაუსახლებია სპარსეთში და ის ზემო ქართლელი (სამცხე-საათაბეგო) ხალხი, რომელიცა მოგვწყვიტა ოსმალეთმა.

ჩვენ ჩრდილოთ წამოსულნი ქართველები ვკითხავთ ჩვენს თავსა, ვინ არის დამნაშავე და გასამტყუნარი ამაში, გარემოებას გარდა?

ამის პასუხათა, ჩვენ ასე გვგონია, რომ ცხვარი დაიფანტება უპატრონობითა. მწყემსი თავის სამწყსოს უნდა მიადევდეს კვალ-და-კვალ, სადაც გარემოებას მიჰყავს. იქნება ამ შედარებაში ვიყვნეთ შემცდარნი, მაგრამ არ შეიძლება არა ვსთქვათ ისიცა, რომ მოძღვართა დაუდევნელობით ძალიან მრავალი დაგვიკარგამს როგორც ქართველი, ისე სხვა ტომთაგანი ქრისტიანებიც მთელს ქავკასიაში.

მკითხველი ბრძანებს: ძალ-დატანებით გაიუს ჯულოეს ქრისტიანებიო. რასაკვირველია, ამ პასუხსაც ბევრი სიმართლე მიუძღვის წინ, მაგრამ რამდენი სომეხი სცხოვრებს სპარსეთში, ინდოეთში და ოსმალეთში, მაგრამ მაინც დაუცავთ მათ თავიანთი სარწმუნოება და ენა. რასა ნიშნავს ეს?

არა გვგონია, სადმე ერთად დასახლებულნი ყოფილიყვნენ რამდენიმე ათასი კომლი კაცი სომეხი, რომ ძალაზედ დადგომოდნენ სპარსეთის სამეფოსა და ძალადობით დაეცვათ მათ სჯული და ენა. ბევრს ალაგსა ვხედავთ ცალკე, მოშორებით მცხოვრებს სომხის სოფელსა სპარსეთში, გინდ ოსმალეთში და არ არიან სჯულ გამოცვლილნი მაშინ, როდესაც პირველი ქრისტიანები ზემო-ქართლისა, რომელნიც თითქმის მთელ საქართველოს მესამედს შეადგენდნენ, გამაჰმადიანდნენ. რამდენსამე ათას კომლზედ, სპარსეთში მცხოვრებლებზედ, რაღა გვეთქმის. . . . . .

ამასთანავე ვფიქრობთ, რომ ადვილად სარწმუნოების გამოცვლის მიზეზი უსწავლელობიდგან და რეგვნობიდგანაც წარმოდგება. ადამიანსა თუ თავისი სარწმუნოების სწავლა არა აქვს კარგად გულში გამჯდარი და ქრისტეს სწავლა იცის ზერელ-ქვერელათა, ისა, რასაკვირველია, ძალიან ადვილად შეიცვლის აზრსა. რა სარწმუნოება ექმნება უმეცარს ადამიანსა, რომელმაცა წიგნი და წერა არ იცის.

მაშასადამე სამწყსო სწავლით იქამდისინ უნდა დაემკვიდროს სარწმუნოებაზედა, რომ ვერავინ შეაცდინოს. . . . . .

არ ვიცით, როდის და რისთვის ჩვენი წინაპარნი, ნამდვილი ქართველები, გადმოსულან ქავკასიის ჩრდილოთ მხარესა და დასახლებულან სულაკის წყალზედა.—ეს ალბათ მომხდარა იმ დროსა, როდესაც დაღესტანი, ჩაჩანი, ოსეთი და საჩერქეზო ყოფილა საქართველოს სამეფოს ნაწილი და აქ ყოფილა გავრცელებული ქრისტეს სარწმუნოება. ამ ჟამად, როდესაც არტემა არარატელის ამბავი წავიკითხეთ უკანასკნელ მიძინებულ «ივერიის» ჟურნალის ნომრებშია, მოვედით იმ აზრზედა, რომ საქართველოს ყიზლარისა და ასტრახნისაკენ სავალი გზა, უწინდელს დროში, ჰქონია ზედ დაღესტანზედა. ბელოქნიდგან პირ-და-პირ თურმე გადმოდიოდნენ

*) ვბეჭდავთ ამ სტატიას შეუცვლელად. შემდეგისათვის ჩვენ გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს ავტორის ზოგიერთ მოსაზრების შესახებ, რომელშიაც არ ვეთანხმებით მას.

რ.

ანდრიას სოფელშია და აქედგან ყიზლარში. ვექოფთ, ამ გზით წამოსულნი, ან როგორც გარდმოცემით ვიცით, ბატონებისაგან შეწუხებული გლეხნი. გადმოსულან და დამდგარან სულაკზედა. რამდენი ხანი უცხოვრნიათ იქა,—აღარავინ იცის; მხოლოდ ამას კი ამბობენ ჩვენი ბერიკაცები, რომ სულაკიდგან გადმოსახლებულან ყიზლარში ამ 200 წლის წინად, ე. ი. იმ დროსა, როდესაც იმპერატორი პეტრე პირველი მობრძანებულა ამ მხარეშია.—თურმე ყიზლარის საქმეებიდგან სჩანს, რომ პეტრე პირველს გაუცია ბრძანება, რომ ყიზლარში საუკეთესო ადგილები მისცემოდათ სულაკზედ მცხოვრებ ქართველებსა.

რასაკვირველია, სულაკიდგან დამპალ ყიზლარში არ მოინდომებდნენ ქართველები გადასახლებასა, თუ რომ მაჰმადის სარწმუნოების განვრცელებას და ღესტანსა და საჩაჩნოში არ დაეტანებინა იმათთვის ძალა.

როგორც ეტყობათ სხვა გზებიცა ჰქონიათ მაშინ სავალად აქეთკენა. გუდამაყარისა და დარიალისა; მამისონისა და ვალაჯირისა და ბაყსანის ხეობაზედ სვანეთიდგანა.

ასე იყო, თუ ისე, ეს სულ ერთია, მხოლოდ ამ ჟამად ვხედავთ, რომ ქართველები სცხოვრობენ ყიზლარში, მოზდოკში და ყიზლარის მაზრაში ორგანა, სარაპანში (შელკოზავოდსკაია). და სასოფლოში (ალექსანდრო ნევსკაია), სარაპნელი და სასოფლოელი ქართველები კარგა ხანი არის ყაზახად შესულან და ეხლაც ყაზახები არიან.

როგორც მოზდოკში, აგრეთვე ყიზლარში და სარაპანში ქართველები სცხოვრებენ ერთად, ცალკე უბნათა. სასოფლოში კი თითქმის მარტო ქართველები არიან.—ამათ მოსდევსთ თავიანთი ჩვეულება, ჩვეულებრივი პურადობა, ვენახების გაშენება, და ამასთან სიღარიბეც თან გამოჰყოლიათ.

ყიზლარელი ქართველები როგორღაც სახეზედ შეცვლილან, იქმნება აქაური ჭაობიანი ადგილებისაგან იყვეს; ამათში ნახამთ თვალებ ამოღრეცილებსა, თვალებ ამოწუწულებსა და ხშირად ელამსა.—სხვაგან კი ისევ ის ლამაზი ხალხია, რაც გინახამთ ქართლ-კახეთში და იმერეთში.—ლაპარაკობენ ქართულად ყველგან ქალები წმიდათ, რადგანაც სხვა ენა არა იციან-რა და კაცები კი ურევენ ნოღურსა და რუსულსა. რადგანაც სამსახურში არიან, რასაკვირველია, რუსული ენა უნდა იცოდნენ, მაგრამ ვერა ლაპარაკობენ ამასაც წმინდათ, ზოგიერთს გარდა. მომეტებულად . . . .

. . . .

ქალები ჩიხტი-კოპსა და ლეჩაქსა არ იშორებენ. ასე გაშინჯეთ სომხის ქალებიც კი შეაჩვიეს ქართული თავის დახურვასა. როგორც საქართველოში, ისე აქა დედა-კაცები მინდორში სამუშაოდ არ დადიან, მაშინ, როდესაც ამათი მეზობელი რუსის ცოლებსა წელები აქვსთ მოწყვეტილი მუშაობითა.—შაფათ-კვირას, რომ ვენახებისაკენ გაისეირნონ, ისიც ბევრია. მუდამ ფუსფუსებენ თავიანთ სახლებში.—ამ ჩვენი ქალების შემწეობითა ჯერ-ჯერობით ქართული ენა ვიცით და ავად თუ კარგათ ვლაპარაკობთ ჩვენი სამშობლოს სიტყვითა. ბევრნი შვილებს გზავნიან საქართველოში თავიანთ ნათესავებთანა და ამითი იბრუნებენ ენასა. წერა კითხვის მცოდნე ძალიან იშვიათია.—ამის მიზეზითა ბევრსა გვარებიც აქვსთ დაკარგული, ასე რომ გვარებით ბევრს ვეღარ იცნობთ ქართველათა. ყველგან ქართველებსა ცალკე სია აქვსთ შედგენილი და გარეშე კაცი ამითი შეიტყობს რომა, ისინი არიან ქართველები. ამ ნაირად შეხვდებით ამ გვარებსა:

მოზდოკში: არაკჩიევ, აბდულოვ (ქალმიკოვ) ასლანუყოვ (იგივე ივანოვ): ალავერდოვ (იგივე ივანოვ), ამიროვ, აზნივ, აკშინელოვ (იგივე პავლოვ) ასლანოვ, ათაბეგოვ, აჟამოვ (იაგურცოვ) ბერიძე, ბორისოვ, ბიბილუროვ, ბაიანდუროვ, ბახუტოვ, ბამუკოვ, ბოლდოევ, ვარძელოვ, ბოროვ, გრიგორიევ, გოუბნელოვ, გოგისანოვ, გველესიანოვ, გარიძე, ჯემარძიძე, დავიდოვ, ეკოროვ, ზუზუნოვ, ზაიცოვ, ზედგინიძე, ივანოვ; ქარგოვ, კონჩუხიძე, ქარაბლიოვ, პორუგოლოვ, ყორღანოვ, ქაიჩაევ, ქაკალოვ, ლიაპინ (იგივე შკაპოვე), მამუკოვ, მერცხალოვ, (ბარისოვ) მარცველაძე, მუხრანსკი, მურადოვ, მახოქევ, მანსურაძე, მარგანოვ, მიხაილოვ, მარკოზოვ, მახორბელოვ, მამადოვ, ნასყიდოვ, ნიკოლაევ, ოსმანოვ, ფიფიკლაუროვ (ფიციხელაუროვ), პაპაგინოვ, პაპუნოვ, პეტროვ, პარტვალოვ, სინაურიძე, საყვარელიძე, სამადარნიძე, საპოჟნიკოვ, ტუკოვ, თამაზოვ, ფილიპოვ, მხელიძე, საფელოვ, ციციკოვ, ჩოროვ, შიშეევ, შედგინოვ, ჩერქესოვ და ძილიაევ. სულ 131 კომლი კაცია.

სარაპანში: გუბერნატოროვ, ბორისოვ, მამულოვ, კიტრანინ, პეტროვ, ათაროვ, რამაზინ, თამაზინ, შალიკოვ, შაფრანოვ და სხვ.

ბიბლიოთეკა

სასოფლოში: ზარიძე, შაშნიევ, მახვილაძე, ლოლაძე, კოვალიევ, ხვადაგიძე, ბიბილუროვ, ალმაზოვ, ანანიევ, ალადაშოვ, ამბარცუმოვ, ბორისოვ, ბერიძე, ბექანოვ, ბითაძე, ბალობელოვ, ბეჟუტოვ, ბულოვ, ბუბერნატოროვ, კიკნაძე, ქვავაძე, ლალაძე და სხვ. ეს რაც აქ გვარები ჩამოვთვალეთ, არიან ნამდვილი ქართველთა ტომნი, თუმცა გვარები აქვსთ ჟამთა გარემოებისაგან გაგამოცვლილი.

აქ მოხსენებული ხალხი ყაზახებად, შესულნი, პატიოსნად ცხოვრობენ; ბევრს მათგანს, მეტადრე რომელნიც კი მხნეები არიან, კარგი შეძლება აქვსთ.— ყიზლარსა და მოზდოკში მყოფნი უფრო ღარიბად არიან. მოზდოკში მხოლოდ ორიოდე გვარს აქვს დიდი ვაჭრობა და დიდი შეძლება.

მაგრამ ამათ საქებრად უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან გულ-მართალი და ალალი ხალხი არის.

როგორც მოგახსენეთ, ცხოვრებით არა უჭირთ რა, მაგრამ სულიერს საზრდოს არიან ძალიან მოკლებულნი. კაცები კიდევ ჰო, და ქალები კი ძალიან გაჭირვებულნი არიან. ამათ სრულებით არა იციან რა.

არ არის ეჭვი, რომ ამისთანა დაუდევნელობა იქმნებოდა იმისი მიზეზი, რომ უწინდელს დროში ქართველები აქა ზოგნი გასომხებულან და ზოგნი გაფრანგებულან, მეტადრე იმ დროებში, როდესაც ეკატერინე პირველის დროს, მოზდოკში ყოფილან დაბუდებული იეზუიტები.

ამ ნაირათ ვხედავთ, რომ პირველი ზემო-ქართლის თავადიშვილები, გვარად ჩხეიძენი, გადმოსახლებულნი მოზდოკში, დღესაც ფრანგები არიან და პირველი ნულში (გორის მაზრაშია, მგონია, ეს სოფელი) მცხოვრებელნი ლომიძეები ყიზლარში გასომხებულან. როგორ გადურჩნენ იეზუიტებსა სხვა ქართველები უმოძღვროდ და უპატრონოდ, ეს გასაოცარი არის! მოდი და ამისთანა მამა-პაპის სარწმუნოებიდგან გადადგომა ეშმაკს დავაბრალოთ.

(გაგრძელება იქმნება.)

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ამ მარტის თვის 21 მიწვეულ იქმნებიან თბილისში ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსნი: იმერეთისა—გაბრიელი, მეგრელიისა—ბესარიონი და გურიისა—ალექსანდრე, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა არქიმანდრიტის გრიგორის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსათ კურთხევაში. სახელ-წოდება იქმნება 21 ერთს და კურთხევა დღით ხარებას, 25 მარტს.

***

ჩვენ გვეკითხებიან ზოგიერთი ბლაღოჩინები: ,,ძმობის წიგნაკების ფასი ვის გავუგზავნოთო?" ამისთანა პირების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ამ წიგნაკების ფული უნდა გაეგზავნოს ,,ძმობის" რჩევის თავს-მჯდომარეს, სემინარიის რექტორს, დეკანოზ მ. პავლე ჩუდეცკის, თანახმად ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ცირკულიარიისა, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის ,,მწყემსის" № 3-ის ოფიციალურ ნაწილში.

***

ამ დღეებში სოფელს აჭარაში (შორაპნის მაზრაშია) გარდაიცვალა ფილტვების ავათ-მყოფობისაგან ერთი ახალ-გაზდა მოსწავლე თბილისის სასულიერო სემინარიისა, გვარად ნიორაძე. ეს ყმაწვილი იყო შეძლებული გლეხის შვილი. ყმაწვილი მეტის-მეტი მუყაითი და ბეჯითი იყო სწავლაზე. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურსის გათავების შემდეგ, ეს ყმაწვილი თფილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. ერთი წელიწადი დარჩა ის იქ. თბილისში მყოფობის დროს გაცივდა მძიმეთ და ფილტვების სნეულება გაუჩნდა მას. პირველად ყმაწვილმა თავი არ დაუდვა ავათ-მყოფობას და ბოლოს აქიმობამაც ალარაფერი უშველა. ასე უდროვოთ მოშორდა საწყალი ამ ქვეყანას და თავიანთ ამხანაგებს. საწყალი მოხუცებული მამა და დედა, რომელნიც უკანასკნელ დროს ნუგეშს მოელოდნენ შვილისაგან, ასე უნუგეშოთ დარჩნენ.

***

ქუთაისის ზოგიერთ მართლ-მადიდებელ ეკკლესიებში კარგად მიდის ღვთის მსახურების გარეშე საუბრების საქმე. ხალხი ბლომათ დაიარება ეკკლესიებში და გულმოდგინეთ უსმენს მოსაუბრეთ. საუბრების შემდეგ ხალხს ურიგებენ პატარა წიგნაკებს. ყოველ მლოცველს უნდა, რომ ეს პატარა წიგნაკები მიიღოს, მაგრამ ხშირად ყველას არ ხვდება წიგნაკები.

***

თბილისიდგან გვწერენ: «7 მარტს, საღამოს ჩვენ ვნახეთ ბატ. დ. ბაქრაძისაგან შედგენილი ქართული ძველი ხელ-ჩართული. ხელ-ჩართული კარგა ვრცელია და მალე დაიბეჭდება კიდეც პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის პროტოკოლში. ხელ-ჩართულს მიჰყვება ძველი სხვა-და-სხვა ანბანები. მომზადებულია ბევრი ნაირი ანბანები ნიმუშებათ და ყოველ ანბანს თავის განსაკუთრებითი ხასიათი და თვისება აქვს მიღებული. ანბანს გარდა მიჰყვება კაი ვრცელი წერილი, რომელიც ხელ-ჩართულის შესწავლის სახელმძღვანელოსავით არის დაწერილი, რომ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მკითხველს უფრო გაუადვილდეს ხელ-ჩართულის შესწავლა.

***

სიღნაღის მაზრაში, წმიდა ნინოს მონასტერში საბინინმა რომ ზარი წაიღო, ეს ზარი ისეთი დიდი ყოფილა, რომ მისი ხმა ძალიან დიდ მანძილზე მიდისო. ზარის დაკიდებაზედ მრავალი ხალხი დასწრებია.

***

ჩვენ გვწერენ, რომ ბატ. საბინინს შეუდგენია რუსულად «წმიდა ნინოს» ცხოვრება და მალეც დაიბეჭდებაო.

***

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბ. მურიეს სულხან ბარათაშვილის ისტორია ფრანგულს ენაზე გადაუთარგმნია და ამ ცოტა ხანში ეს წიგნი კიდეც დაიბეჭდებაო.

***

გაზეთს «კავკაზს» სწერენ ფოთიდამ: «აქ მოვიდა ამბავი, რომ ფოთში იქნება კათედრა გურია-სამეგრელოს ეპარქიისა. ადგილობითმა ქალაქის საბჭომ უკვე მიიღო საქართველოს უმაღლეს სასულიერო მთავრობისაგან მოწერილობა, რომ არქიელს მოუმზადონ ბინა, თანახმად მათი დაპირებისა.

***

ამ ბოლოს დროს, თბილისში ორი გამოჩენილი კაცი გარდაიცვალა. ერთი ბერჟე და მეორე ბაერი.

ბაერი იყო კაი განათლებული პირი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის გეოლოგიურ და არქეოლოგიურ გამოკვლევაში. ბაერი დაესწრო 1870 წ. მცხეთის აკლდამების გახსნის დროს; ამანვე დაათვალიერა საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეებში ძველი ნაშთნი და გაშინჯა აგრეთვე უფლის ციხე.

ამის სახლში ინახებოდა ყველა ის ძველი ნივთები და სამკაულები, რომლებიც კი მოპოვებულ იქმნენ მისგან მთელს საქართველოში. ისევე ბაერი იყო გამგეთ საქართველოს არქეოლოგიის საზოგადოებისა. განსვენებული ძალიან ბევრს სტატიებს სწერდა საქართველოს არქეოლოგიის და გეოლოგიის შესახებ. ამან გამოსცა ბერლინში ნემეცურს ენაზე საქართველოს არქეოლოგიის და გეოლოგიის შესახებ ორი დიდი ტომი, რომლებმაც საკმარისი ყურადღება მიიპყრეს.

ბაერის დასაფლავებაზე დაესწრნენ მრავალი წარჩინებულნი პირნი.

***

ყველამ იცის, რომ ჩვენ საქართველოში და განსაკუთრებით იმერეთში გაჭირვებულია საეკკლესიო ნივთების ყიდვა. ჯერეთ ვერ იშოვით ხეირიან საჭირო ნივთებს და, თუ იშოვეთ მაღაზიებში, ნამეტან ძვირათ ჰყიდიან. ამისათვის გასაკვირი არ არის, რომ ჩვენში ეკკლესიები რიგიანათ მორთულნი არ იყვნენ. რომ ყოველმა მსურველმა რიგიანი ნივთი ზომიერ ფასათ იყიდოს, ამისათვის დაარსდა ყვირილის ეკკლესიასთან საეკკლესიო ნივთების საწყობი, საიდამაც ყოველ მსურველს შეუძლია საეკკლესიო ნივთების მოპოვება.

***

კვირას, 2 მარტს, საღამოთი, სემინარიის ეკკლესიაში იყო მერვე საუბარი. ხალხი ბევრი დაესწრო. კითხულობდნენ: სემინარიის ინსპექტორი ი. ს. სტეპანოვი და ამავე სემინარიის მასწავლებელი ა. პ. ალბოვი; პირველმა გააგრძელა კითხვა ლოცვებზე, ხოლო მეორე კითხულობდა მოყვასის არა შეურაცხყოფაზე.

მაღალ ყოველად უსამღვდელოესმა პავლემ, საქართველოს ექსარხოსმა, განუმარტა მსმენელებს მართლ მადიდებელი ეკკლესიის დოღმატი ღვთის სამ პიროვნებაზე.

კითხვების გათავების შემდეგ ხალხს დაურიგდა პატარა წიგნაკები.

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საყურადღებო

ტელეგრამმები.

11 მარტს.

პეტერბურგი. გუშინ იმპერატორის ვილჰელმის დაბადების დღის გამო, გატჩინოს სასახლეში, გამართული იყო ნადიმი. სანადიმოდ მიიწვიეს ყველა წარმომადგენელნი გერმანიის საელჩოსი. ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი პრუსიის მუნდირებით იყვნენ და პრუსიისავე ორდენები ჰქონდათ. ხელმწიფემ მიირთვა იმპერატორის ვილჰელმის სადღეგრძელო და ამ დროს პრუსიის საერო საგალობელი დაუკრეს. ყველა მონადიმენი ფეხზე წამოდგნენ და ისე მოისმინეს საგალობელი. დილით დიდმა მთავრებმა, უცხო ქვეყნების ელჩებმა, დესპანებმა, მინისტრებმა და სხვა დიდებულებმა მიულოცეს დაბადების დღე ვილჰელმისა გერმანიის ელჩსა.

დანიშნულ იქმნენ: სიმბირის ვიცე-გუბერნატორი ტროინიცკი—ტობოლსკის გუბერნატორად და ვლოცკის ვიცე-გუბერნატორი კოლენკო—ირკუტსკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

«Правительственный Вѣстникъ»-ის კორრესპოდენციაში ვარნიდამა სწერია, რომ აქ წირვა გადიხადეს სან-სტეფანოს პირ-შეკრულობის დაწერის დღეობის გამოვო. მიტროპოლიტმა სიმეონმა ჯერ ხელმწიფე იმპერატორი ახსენა და მერე მთავარი ალექსანდრე და ეს გარემოება ფრიად სასიამოვნოდ დარჩათ დამსწრეთაო. სადამოზე რუსეთის ელჩის ამხანაგის სახლის წინ რუსეთის სასიამოვნოდ და სასაბებლად დიდი ამბავი იყოვო ელჩთან. მივიდა დეპუტაცია. ერთმა დეპუტატთაგანმა წარმოსთქვა სიტყვა. ორატორმა სთქვა: დიდი მადლობელნი და ერთგულნი ვართ სრულიად რუსეთის მეფისაო, ბოლგარები ყველაფერით დავალებულნი არიან რუსეთისაგან, თავის დღეში არ დაივიწყებენ მის სიკეთესა და კვლავაც იმედი აქვთ განმანთავისუფლებელის ქვეყნის ძლიერის მფარველობისაო.

«Новое Время» გვაუწყებს, რომ სახელმწიფო რჩევას წარუდგინეს პროექტი კანონისა, რომლის ძალითაც უნდა ლონისძიებანი იქმნას მიღებული, რათა ებრაელთ აღარ შეეძლოთ სამხედრო ბეგარა თავიდამ აიცილონ ხოლმეო.

სტამბოლი. პორტა და ბოლგარია კვლავ უკმაყოფილონი შეიქმნენ ერთმანეთისა. ჯარი ისევ რუმელიის სამზღვრებისკენ გადმოჰყავს პორტასაო.

«Journal de St-petersbaurg» ი ასე განმარტავს მთავრის ალექსანდრეს ქცევის ოსმალ-ბოლგართ მორიგების გამო. «ხვანთქარმა და სრულიად მისმა კაბინეტმა მიიღო წინადადება ბოლგარიის დესპანის ცანოვისა იმის თაობაზედ, რომ ბოლგარიის მმართველი დანიშ ნულიყო აღმოსავლეთ რუმელიის გენერალ-გუბერნატორად ბერლინის პირ-შეკრულობის მე-17 მუხლისამებრ. მაშასადამე, რომ ყოველის ხუთის წლის შემდეგ მთავარს ეს უფლება მიჰნიჭებოდა, საჭირო იყო თანხმობა ყველა დიდთა სახელმწიფოთა. მთავარმა ალექსანდრემ ახლა უარ ჰყო თავისივე რწმუნებული, ამიტომ დღეს დიდმა სახელმწიფოებმა არა თუ მარტო ის უნდა განსაჯონ, რა სახით უნდა დანიშნოს რუმელიაში გენერალ გუბერნატორი, არამედ ისიც,—შეიძლება, თუ არა, შეწუნარებულ იქმნას, რომ მთავარმა ხელი შეუშალოს ერთობილს გადაწყვეტილებას ევროპიისას. უცნაურია სურვილი მთავარის ალექსანდრესი! იმას მოსურვებია დიდთა სახელმწიფოთ ისე მოექცეს, როგორც თავის თანასწორთ და ამას გარდა კიდევაც ითხოვს იმისი ნება შეასრულონ. ეს, რასაკვირველია, ვერაფერი

საბუთია, რომ იგი გაამართლებს დიდთა სახელმწიფოთა ნდომას, უკეთუ დანიშნავენ უვადოთ და უკონტროლოდ აღმოსავლეთ რუმელიის გენერალ გუბერნატორათ. ასეთის თავ დაბლობით რომ მოექცეს ევროპა, მთავარს ეგონება, საკმაოა ავხირდეო და ევროპაც გამიჩუმდებაო. ესე რომ მოხდეს, ვინ იცის მერე რას არ მოითხოვსო. ეს საგანი მით უფრო საყურადღეოა, რომ მთავრის მიერ უარ-ყოფა ევროპის გადაწყვეტილებისა ბერძნებზედ იმოქმედებსო. ბერძნებიც, რასაკვირველია, აღარას არ დაუთმობენ დიპლომატიას, ვიდრე მთავარი ალექსანდრე ასე ახირებით მოექცევა დიდთა სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებასაო.»

პეტერბურგი. «Новое Время» იუწყება რომ 9-ს ივლისს არ გაიხსნება სიბირის უნივერსიტეტი, როგორც დანიშნული იყო. წინანდელი ხმა, რომ ვითომც სემინარიელებს მიეცემოდათ ნება სიბირის უნივერსიტეტში შესვლისა,— აღარ გამართლდა და ეხლა განათლების სამინისტროს განხილვაშია, მხოლოდ რეალურს სასწავლებელში აღრზდილთა უნივერსიტეტში მიღების საქმე. უკვე რექტორათ დანიშნულმა პროფესორმა მოსკოვის უნივერსიტეტისამ პავლოვმა უარი სთქვა და მის მაგიერ ეგ თანამდებობა შეუძლევიათ კაზანის უნივერსიტეტის პროფესორ ოსოკინისათვის.

ჟურნალ-გაზეთთაგან.

საერო განათლების სამინისტროს დღეს მიწერ-მოწერა აქვს გამართული სახელ განთქმული მსწავლულ პასტერთან. სამინისტროს მიუწერია პასტერისათვის, ნებას მისცემს, თუ არა, რომ რუსეთის მსწავლულებმა ისწავლონ იმის ლაბარატორიაში დაცოფილთა მორჩენის წესი მისის სახელმძღვანელობითა. პასტერს გამოუგზავნია სამინისტროსათვის თავისი რეფერატი ამ საგანზედ. ამ რეფარატში ვრცლად არის მოთხრობილი, როგორ დაიწყო პასტერმა თავ-ს გამოკვლევა დაცოფილთა მორჩენისა, ცოფის აცრისა, რამდენი მოარჩინა და სხვ. ეს რეფერატი პასტერს წაუკითხავს პარიჟის მეცნიერთა აკადემიაში 1 მარტს და უთხოვნია ამ დაწესებულებისათვის შემწეობა დასაარსებლად დიდის ერთა შორებრივის სამკურნალოსი დაცოფილთა მორჩენისათვის. პასტერი პასუხად სამინისტროს სწერს, რომ მე დიდის სიამოვნებით მივიღებ რუსეთის მსწავლულებს, მაგრამ ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთიდამაც ყოველთვის შეუძლიანთ დაცოფილთ თავის დროზედ აქ, პარიჟში მოვიდნენ და თავი მოირჩინონ ამ საშინელის სენისაგანაო. კარგი იქნებაო, რომ სამინისტრო რაიმე ღონის-ძიებას მოსძებნიდეს და ჩემ-მიერ განზრახულის ერთა შორებრივის სამკურნალოს დაწესებაში დამეხმარებოდესო. მაშინ ძალიან ადვილად შეეძლებათ რუსეთის მსწავლულთ ისწავლონ ეს საქმე ამ საპკურნალოშიო. სამინისტრო თურმე იმის ზრუნვაშია, რომ იპოვოს რომელიმე წყარო, რომ პასტერის თხოვნა შეასრულოს და დაეხმაროს ამ მსწავლულს ერთა-შორებრივის სამკურნალოს დაწესებისათვის.

ზოგიერთა სამზღვარ გარეთის გაზეთები ძალიან შეძრწუნებულან, როცა გაუგიათ, რომ პენჯეში რუსეთის წეს წყობილება დამყარდაო. როდესაც ნემეცური გაზეთები ამბობენ, რომ ეს ფაქტი საწინააღმდეგო არ არის ბრიტანიის მმართველობისაო, ვენის გაზეთებმა ერთი აყალ-მაყალი ასტეხესო და ინგლისს ურჩევენ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებასაო. ჩვენ არაფერს ვიტყოდით ამ გაზეთებზედ, რომ ასეთივე ალიაქოთი არ მოეხდინა ისეთს დარბაისელს გაზეთს, როგორიც არის გაზეთი «Paix»-იო, ამბობს «Journal de St.-Petersbourg»-ი. პარიჟელი გაზეთი ამბობს, რომ საშიშია ამ გარემოებამ დიდთა სახელმწიფოთა-შორის დავი-დარაბა არ ასტეხოსო და გვიკვირს, რომ ინგლისის პარლამენტმა ყურადღება არ მიაქცია ამ საგანსაო. რუსების ყოფნა პენჯეში დიდად სამწუხარო და საუბედურო უნდა იყოს ინგლისის მფლობელობისათვის შუა გულ აზიაშიო.

ხსენებული პეტერბურგის გაზეთი ამბობს, რომ ფრანგულ გაზეთს, ეტყობა, ჯერ არ შეუტყვია, რომ პენჯე რუსეთს დაეთმო და მიჯნის გაყვანის შემდეგ რუსეთსა და ავღანისტანის შორის, სრული ნება მიეცა პენჯეში თავისი წესი და წყობილება დაემყარებიანო.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე.

სიტყვა,

თქმული 14 იანვარს 1886 წელსა, სიონის სობოროსა შინა, არქიმანდრიტის მაკარისაგან.

«მოიხსენეთ წინამძღვარნი თქვენნი, რომელნი «გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღვთისათა, «და ხედევდით რა გამოსვლასა მას ცხოვრებისა მათისასა, ბაძევდით სარწმუნოებასა «მათსა». (ებრ. 13, 7).

კეთილ მორწმუნენო ქრისტიანენო! ყოველს ერს, რომელსაც-კი ისტორიულად უცხოვრია, რომელსაც-კი აღუბეჭდია რითიმე კვალი თავის ცხოვრებისა, უეჭველად ჰყოლია იმისთანა დიდებულნი პირნი, რომელთაც დაუყენებიათ ეს ერი ისტორიულ გზაზედ და შეუტანიათ მის ცხოვრებაში ის ასაღორძინებელი ძალა, რომელიც შემდეგ გამხდარა ქვა-კუთხედ ამ ერის მთელი ისტორიული სიცოცხლისა. მეტადრე დასაწყისი რომელიმე ერის ისტორიისა ხომ ყოველთვის ეკუთვნის ამათთანა კერძო პირთ, ყოველი ერი დავალებულია თავის ისტორიით იმათით.

საქართველოს შვილნო და მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! არც ჩვენა ვართ მოკლებულნი ამაებისთანა დიდებულთ პირთ, ჩვენც გვყავს ჩვენი ეროვნების სულის შთამდგმელნი და ჩვენი ისტორიის მომცემნი. ჩვენი წინამძღვარი და ჩვენი ერის სიცოცხლის დამაყენებელი, არამც თუ მომაკვდავი ვინმე ხორციელი არის, არამედ იგი არის მოციქული თვით ზეცისა, იგი არის იმ წმიდა მოციქულთ თანასწორი, რომელთ სწავლამ განაახლა მთელი კაცობრიობის ცხოვრება ზეციურის ცხოველს-მყოფელის მადლის შეტანით,—იმ მადლის შეტანით, ურომლისოთაც, როგორც გვაჩვენებს რაოდენიმე ათასის წლის ისტორია, კაცობრიობას არც შეეძლო მიეგნო ჭეშმარიტ გზისათვის და არც გაევლო მაზედ თავის-თავათ.

დიდებული დღეა დღეს, არამც თუ საქართველოს ეკკლესიისათვის, არამედ მთელი საქართველოს ერისათვის. დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის ნინას გარდაცვალების დღესა. თხუთმეტმა საუკუნემ მრისხანებით გარდაუარა თავს ივერიას, მაგრამ ის სულიერი ძალა, რაიცა შეიტანა ამ ღირსმა დედამ საქართველოს ერში, დღევანდლამდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მანამ საქართველოს ერი სცოცხლებს დედა-მიწის ზურგზედ. ეს ის ზეციური ძალა იყო, ცხოველი და საუკუნო, რომელმაც საქართველო განაახლა და განამტკიცა სულიერად და ამით შეძლებინა მას იმ შავი ბედისაგან გამოხსნა, რომელიც შეუბრალებელი მექქისა და მედინის ფანატიკოთა წყალობით ერგო საქართველოს მის გრძელ-ჟამიერ წარსულში. როგორც რომ ყინვით დამზრალ ქვეყანას გამოაცოცხლებს თბილი გაზაფხული, ეგრეთვე საქართველოში ნინას მიერ შემოტანილმა ქრისტიანობის ბრწყინვალე და ცხოველს-მყოფელმა სხივმა განაახლა საქართველოს ერი, ზეციურის მადლით განაცხოველა და აღადგინა იგი წარმართობის ღრმა სიბნელისაგან, რომელშიაც გზა არეულნი ჩვენნი წინაპარნი, არა მცნობი ჭეშმარიტებისა და სინათლისა, უხრიდნენ თავთა მხოლოდ თვისთა უსულოთა კერპთა და სწირავდნენ მათ შვილთა თვისთა.

სახარების სინათლემ, რომელიც შემოიტანა ივერიაში ღვთის მშობლის მოციქულმა ნინამ, აუხილა ამ ბრმათ თვალნი, ზეციური სიყვარულის ძალამ და ზეციური მაცხოვრის მადლმა ჩაუდგა მათ სული განახლებისა და ცხოვრებისა, ზნეობითად მტკიცეთ შეაკავშირა იგინი ერთ განუყოფელ საზოგადოების სხეულად, რომელშიაც ყოველი ქართველი ხედავდა თავის თავს ზეციური მამის შვილად და თავის მეზობელს თავის მოძმედ, თავის მოყვარედ. ეს სულიერად შეკავშირებული ძალა ქრისტეს სწავლისა, რომელიც განავრცელა ჩვენს სამშობლოში ღირსმა ნინამ, ეს ერთი ერთმანეთის სიყვარულის დაფუძნება ქართველთა შორის, ნაცვლად უწინდელი მათ შორის სიმძულვარისა და მტრობისა, შეიქნა საქართველოს იმ მტკიცე სვეტად, რომელსაც ვერა დააკლო-რა თხუთმეტი საუკუნის ქარიშხალმა. მტკიცედ იდგა ეს სვეტი და მტკიცედ ჰქონდა მას ფესვი გამდგარი კეთილ და ნაყოფიერ ივერიის ნიადაგში.

დიდება ღვთის განგებას! ის ურიცხვი ისტორიული უბედურობა, ის მრავალ გზითი აკლდება აუარებელი მტრის მხრით, რომელიც მოელოდა საქართველოს მომავალში, ხომ ერთიანად აბუგამდა ერთ მუჭა საქართველოს ერს, რომ მისი ხსენებაც აღარ იქნებოდა დედა-მიწის ზურგზედ, თუ ჩვენნი წინაპარნი არ ყოფილიყვნენ წინათვე განმტკიცებულნი ერთი ერთმანეთის ზეციური სიყვარულით, რომელიც მათ, უბედურობის დროს ერთად აკავშირებდა ერთ საღმრთო დროშას ქვეშ და ერთ მუჭა ხალხს აძლევდა იმისთანა გმირულ ძალას, იმისთანა გასაოცარ სიმხნეს, რომ ერთი ქართველი თუმცა უხვდებოდა ასს მტერს, მაგრამ ეს ერთი ამ ასს არამც თუ უდრიდა, არამედ ღვთის ძალით აჭარბებდა კიდეც, და ესრეთ ქართველი იცავდა თავის სჯულს, თავის ეროვნებას და თავის სამშობლოს. საშინელი წვალება გამოიარა ჩვენმა მიწა-

წყალმა უსჯულო მტრისაგან: ერთი მეორეზედ მიყოლილი უბედურება ზდებდა თავის კვალსა აოხრებისას, საქართველოს უკეთესთა შვილთა სისხლის ნიაღვრით ირწყოდა ჩვენი სამშობლო. შეუბრალებელი უღმრთო მტერი «ძლიერი მძლავრი» ოთხ-კუთხივ ნატამალს ავლებდა, მუსრავდა, იკლებდა და ცეცხლის მსხვერპლად ხდიდა ქალაქებს, სოფლებს, დათესილს ყანებს, ანგრევდა და შეაბილწებდა წმიდათა ღვთის ტაძართა, არ იბრალებდა არც სუსტთ, არც მოხუცთ და არც უსუსურ ყრმათ, აუპატიურებდა ცოლთა, დედათა და ასულთა ჩვენთასა, რასაც კი მიუახლოვდებოდა მისი დაუნდობელი და ბოროტებით სავსე მარჯვენა, ყველას ემჩნეოდა სისხლი, აკლება და შებილწვა. რა იხსნიდა, რაღას შეეძლო დაეხსნა საქართველო, რაღა რჩებოდა მას ამისთანა გულ მოსაკლავ სურათის მხედველს სანუგეშებელი ანუ განმამხნევებელი, თუ არ მხოლოდ ღვთისადმი სასოება, თუ არ ის რწმუნება, რომ იგი «ყოვლად ძლიერი და ყოვლად სახიერი» არ დაუტევებს მას, თავის ერთგულს საქართველოს ერს, ვიდრე დასასრულამდე სოფლისა?! რაღა შეაძლებინებდა საქართველოს კვალად აღდგომას, თუ რომ ამ გვარ შერყევასთან. საქართველოს გააქრობდა ის «ცხოველს-მყოფელი სულიც», რომელიც ჩაუდგა ჩვენს წინაპართ ზეციურმა ჩვენი განმანათლებელის ნინოს სწავლამ. მაგრამ არა, ყოველ-გვარ იმ შემთხვევასთან, რაიცა იყო «ხორციელი», ივერიას არასოდეს არ შერყევია ეს «საღმრთო სული»; ყოველივე ინაცვლა მტერმა, მაგრამ საქართველოს ვერ გაუქრო ეს «სული»; იგი ღვთის ნაპერწკალივით ღვიოდა ივერიის განგმირულ და განრღვეულ გულში, ამტკიცებდა და ამხნევებდა ამ გულს ახალი ღვაწლისათვის, უკანასკნელ სისხლის წვეთამდისინ საბრძოლველად წინაღმდეგ «შვილთა უსჯულოებისათ» და ქართველი ერი ფერფლისა და ნაცრისაგან კვალად აღდგებოდა და აღყვავდებოდა ხოლმე. ამ საქართველოს სულს არ მიყავდა არავითარ უბედურებაში საქართველოს შვილნი იქამდის, რომ მათ დაჰკარგოდათ როდისმე ღვთისადმი სასოება და მოძმეთადმი სიყვარული; ხოლო ეს სასოება და სიყვარულის ძალა მათ ამხნევებდა და ხდიდა უძლეველ გმირებად. ქართველი ერისათვის, ჩვენ მამა-პაპათათვის, ქართველნო, არ არსებობდა რაიმე გარეგანი და უძლეველი დაბრკოლება, მიტომ რომ იგინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათთანა თვით უძლეველი მათი უზენაესი ხელთ-ამპყრობელი, რომ მათთანა და მათკენ თვით ყოვლად შემძლებელობა ზეცისა, რომ მათთანა ერთად შეიარაღებული უხენაესი სიმართლე და უკვდავი ჭეშმარიტება, და ეს სარწმუხოება ისეთი უდიდესი ძალაა ქვეყანაზედ, რომელითა ადრე თუ გვიან ძლევა შემოსილად გამოჰყავდა ჩვენი მამა პაპა ყოველ-გვარი უბედურებისა, განსაცდელისა და ჭირისაგან.

განსაცდელთა წლებში ქართველები არამც თუ არ გარდებოდნენ სასოწარკვეთილებაში, არამედ რამოდენათაც უბედურობა უფრო საშინელი და შესაზარი იყო, იმდენად უფრო ემატებოდათ ჩვენ მამა-პაპათ ღვთისადმი სასოება და სიმტკიცე ქრისტეს სჯულისა წინააღმდეგ უსჯულოთა და მძვინვარე ბარბაროზთა; არავითარ ტანჯვას არ შეეძლო გადაეყენებინა იგინი ქრისტეს სარწმუნოების ერთგულობიდგან და ეს გასაოცარი სჯულის სიმტკიცე ჩვენთა წინაპართა იყო მიზეზი, რომ მცირე რიცხოვანმა ხალხმა არ დაჰკარგა თვისი მამული და თვისი ეროვნება. სჯულმა, ქართველნო, ნინას სჯულმა, ვიმეორებ, დაიცვა საქართველოს სამშობლო და მათი ეროვნება. შეუბრალებელი ბედის მსხვერპლნი, ზოგიერთნი მხარენი ივერიისა, რომელნიც სჯულის გადადგომისა თანავე, მოსწყდნენ ჩვენ საერთო სამშობლოს და დაჰკარგეს თვისი ეროვნება, წარმოადგენენ ეგრეთვე ცხადათ ამის დამტკიცებას, აჭარა, ქობულეთი და სხვანი. ჩვენნი ღვიძლნი ძმანი ეროვნების უწინდელი გმირთა ბუდე, ერთ დროს ჩვენთანა ერთათ ძმურათ მებრძოლნი, ჩვენთანა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა, ეხლა, სამწუხაროდ, რანიც არიან, ეს ყველამ ნათლად ვიცით.

მაგრამ დიდ არს განგება ზეცისა! მან არ მოინდომა თავის ერთგული ივერიის სიმტკიცე მიეყვანა უკანასკნელ განსაცდელამდისინ; მან მოუვლინა მრავალტანჯულს, მრავალ-გვემულ საქართველოს მფარველი ანგელოზი; თავის ერთგულნი ივერნი მან შთააბარა მათს ერთ მორწმუნე დიდებულ რუსეთის ერს, რომლის საფარ ქვეშა ვიმყოფებით უშიშრათ, მყუდროთ და უსჯულოთა მტერთაგან მოსვენებით.—თხუთმეტი საუკუნის სისხლის ღვრის შემდეგ საქართველოს დაუდგა დრო მშვიდობისა და შვებისა, მაგრამ უცვალებელმა ისტორიულმა კანონმა თავისი ხარკი აიღო: ერი, რომელმაც ამოდენა ხნის განმავლობაში არ იცოდა, რა არის მშვიდობა და მოსვენება, ეს ერი ისეთ ნაირათ დაეცა, ისეთ სულიერ სიუძლურეში ჩავარდა, რომ ეხლანდელნი ქართველნი წარმოადგენენ თავიანთ დიდებულთ მამა პაპათ მხოლოდ აჩრდილს. სამწუხარო და გულ-მოსაკლავია ეხლანდელი სულერი მდგომარეობა საქართველოს ერისა, მისი უგრძნობელობა ყველა მისდამი, რითაც ძველი ქრისტეს და მამულის მოყვარე ივერი იყო ძლიერი და მხნე. მაგრამ, ქართველნო, იმედი გვქონდეს, რომ ეს სულიერი დაცემა ერისა მხოლოდ დროებითია, შემდგომ ამოდენა ხნის მისი დაუცხრომელი და დაუძინებელი, თითქმის ყოველ-დღიური ბრძოლისაგან. გაივლის ეს პერიოდი და

ჩვენი ერი კვალად განმტკიცდება სულითა ძლიერის რწმენეთის მფარველობის ქვეშ.—მხოლოდ, ძმანო, ნუ დავიიწყებთ, რომ სარწმუნოებამან სულიერად აღზარდა ჯ ისტორიულად აღოცხლა ძველი იგერი; მისმა ცხოველმა მეოფელმა ძალმანვე უნდა დაუენოს ფესვზედ დაუძლურებული სულითა ახალი საქართველოც. ჯ ეს იმდენად უფრო ადვილია ჩვენთვის, რადგანათაც ახალი საქართველო ოდესღა მოწყალე ჯ თანა მორწმუნე რუსთ ხელმწიფის უკეთესტესს საფარ ქვეშ უფრო მშვიდობიან ჯ უშიშარ პირობებებშია, შედარებით ძველ იგერთან, რომელიც მთელ თავის ეროვნების ძალ-ღონეს ანდომებდა თავის თავს ჯ თავის წმიდა სჯულის დაცვას» — რომელსაც თვით ერსებისათვის განუწყვეტელი ბრძოლისს დროს, აღარ რჩებოდა ძალა ფართო ძლიერი განვითარებისათვის, ეხლა კი სულ სხვა; ეხლა მთელი სულიერი ძალა ჩვენი ერისა, სრულიად მიმართული იქნება მასს შინაგან კეთილ დდეობისკენ ჯ სულიერად ამაღლებისკენ.

დღეკანდელი დიდებული დღე ჩვენი ღირსი დედისა ჯ ჩვენი განმანათლებელისა ნინასი იყვეს. ქართველნო, ჩვენი განმამხნევებელი, ამ საღმრთო სამშობლო საქმეში, და მომაგონებელიც მისა, რომ ჩვენი ღონისძიება შრომა ჯ სიმხნე სამშობლოს ამაღლებისა ჯ აღუკვეებისათვის უნდა იყვეს მტკიცედ დამყარებული იმ საღმრთო ისტორიულ საფუძვლის ნიადაგზედ, სჯულსა ჯ სიყვარულსა ქრისტიანებზედ, რომელზედაც იყვნენ აღზრდილნი ეგრეთვე ჩვენნი დიდებულნი წინაპარნი. მივმართოთ, საქართველოს შვილნო ჯ, მივმართოთ ჩვენი განმანათლებელის ცხოველ მეოფელ სარწმუნოებასა, მივმართოთ კვალად «ღმერთსა მამათა ჩვენთასა», მივმართოთ მას, მაშველნო ჯ მრავალ-ტანჯულნო, ჯ იგი გაგვისვენებს ჩვენ ვეკედრნეთ ეგრეთვე მსურველსა გულითა ღვთის მშობელსა დედასა; საქართველო მისი საუფლის წულო, ზენა არსიდგან მას ვხედით წილითა: მან მოგვიკლინა ჩვენ ღირსი დედა ნინა ჩვენი განმანათლებელი ჯ ჩვენი ერის წინამძღვარი; იგი იყო მფარველი; უბედურობის დროს—ჩვენთა წინაპართა ხელთ ამშვრობელი, იგი არა არიდებდა თავის მოწყალე თვალსა მათ განსაცდელთ წლებში; იგივე მოგვცემს ჩვენცა ძალასა დავრდომილთა სულიერად კვალად აღდგომისას! მოგიხსენოთ, მართლ-მადიდებელნო ივერნო, მოგიხსენოთ, ეგრეთვე ყოველად საგონებელი ქართველთაგან დაუვიწყარი ჩვენი წინამძღვარი, ქრისტეს სჯულისა ჩვენი მქადაგებელი წმიდა ჯ მოციქულთა სწორი ნინა, ჯ «ვხედვიდეთ რა გამოსვლასა მას ცხოვრებისა მისისასა, ბაძვიდეთ სარწმუნეობასა მისსა». ამინ.

მღვდელთა საყურადღებოდ.

ერთი იმერეთის ეპარქიის მღვდლისაგან მიეიღეთ ჩვენ შემდეგი წერილი: «მ. რედაქტორო! საკვირველია, რომ ეკკლესიების მმართვის და შესაეალგასაელის საქმეების შესახებ ყველა ბლაღ ჩინებს ერთი და იგივე წესი არა აქვსთ. ამასთან ხშირად ვნიშნავთ, რომ ყველა ბლაღოჩინები მთავრობის განკარგულებას ერთნაირად არ ასრულებენ, რ მლის გამო მრავალნი მღვდელნი იჩაგრებიან და წვალობენ. სხვათა შორის უჩვენებ ორ ამისთანა მაგალითს: ჩვენი ბლაღოჩინი არასოდეს არ მისცემს კრებულს ნებას, რომ მათ თავიანთ ღერბით დაბეჭდონ ეკკლესიის კრუჭკები და სტაროსტას დაკეტევინონ. ყველა ეკკლესიების კრუჭკებს ის ბეჭდავს და გასაღებებიც მას მიაქვს შინ. ეკკლესიების დახედვის დროს თვითონ გახსნის კრუჭკებს და თუ სოფელში ჩამოელა არ შეხვდა, ეკკლესიის კრუჭკებს თავის საკუთარ სახლში იბარებს და იქ ხსნის მათ. ჩვენ საბლაღოჩინოში სამთლის სარგებლის ფულს ზოგს სულ არაფერს არ ახმარს სასულიერო სასწავლებლის გარდასახადზე და თუ ახმარს, კომლის რიცხვისა მებრ მარტო თითო შაურს. ბოდიოვ მ. რედაქტორო, განგვიმარტოთ, კანონიერია ეს მოქმედება, თუ არა?!.«

ჩვენც ძლიერ გაკვირვებული ვართ, რომ ზოგიერთი ბღლაღოჩინები წინააღმდეგ თავის ინსტრუკციისა და მთავრობის მოწერილობისა იქცევიან. ეკკლესიის ფულის შესაკრებელი კრუჭკა დაბეჭდილი უნდა იყოს ადგილობითი ეკკლესიის მღვდლის ღერბით; ხოლო დაკეტილი უნდა იყოს სტაროსტისაგან და გასაღებიც მას უნდა ჰქონდეს. კრუჭკა უნდა იხსნებოდეს ყოველ თვის დამლევს და არა ნახევარ წლის შემდეგ. ეკკლესიის ფულის შესაკრებელი კრუჭკის ეკკლესიიდამ გატანა არ შეიძლება. არც სტაროსტების ინსტრუკციაში და არც კონსისტორიათა წესდებულებაში არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბლაღოჩინებმა უნდა დაბეჭდონ კრუჭკა და სახლში ღაიბარონ და იქ გახსნანო. ყოველ ეკკლესიის კრებულს შეუძლია თვითონ თავის ღერბით დაბეჭდოს ეს კრუჭკები და სტაროსტებმა გასაღები არავის არ მისცენ.

რაიცა შეეხება სამთლის სარგებლის მოხმარებას სასულიერო სასწავლებლის შესანახავად, აი

როგორი განკარგულება არის გამოცხადებული იმერეთის ეპარქიაში სასულიერო მთავრობისაგან ამის შესახებ: სასწავლებლის გარდასახადი, რამდენიც არის იყოფა სამ ნაწილად; ორი ნაწილი იფარება სამთლის სარგებლის ფულებისაგან და ერთი ნაწილი მღვდლის საკუთრ ბისაგან. თუ ვინიცობაა, სამთლის სარგებელი არ არის იმდენი, რომ ორი ნაწილი გარდასახადისა მთლად დაფაროს, მაშინ ისიც მღვდელს ხდება და მიაქვსთ სასწავლებლის შესანახავად. ეგ განკარგულება ოფიციალურად არის გამოცხადებული და არავის არ აქვს ნება იგი დაარღვიოს და ისე აასრულოს, როგორც მას სურს.

კალენდარული ცნობები.

ქვეყნის შექმნიდამ არის გასული ოცი ათას სამას ოთხმოცდა თოთხმეტი წელი.

ქრისტეს აქეთ არის ათას რვაას ოთხმოცდა ექვსი წელიწადი.

ძველი ინდიქტიონი არის მეთოთხმეტე.

ჩუენ წლის ზედნადები არის ერთი.

მთვარის მოქცევა—სამი

ათტხრამეტური — ათი.

მზის-მოქცევა — ორი.

ხელთა — ორი.

მეოთხე კვირა—მარტის ოც-და-სამს. ამ კვირას არის ხმა მეოთხე ჯ სტიხერა სახარება ბერგელი.

მეხუთე კვირიაკე—მარტის ოც-და-ათს. ამ კვირას არის ხმა მეხუთე ჯ სტიხერა სახარება მეორე.

ხარება შესვდება დიდ-მარხვის მეხუთე კვირიაკეში სამშაბათს დღეს.

ბზობა — აპრილის ექვს.

წმიდა აღდგომა — აპრილის ცამეტს.

ამაღლება — მაისის ოც-და-ორს.

სულის წმიდის მოსვლა — ივნისის ბერგელს.

პეტრეპავლობის წინ დაურწყება — ივნისის რვას.

პეტრეპავლობის მარხვა ორი კვირა ჯ ექვსი დღეა.

განცხადება.

გამოვიდა ხალეშდავიდამ ახლად შედგენილი ქართულს ენაზე

საქართველოს საეკლესიო ისტორია

და ისყიდება შემდეგ წიგნის მაღაზიებში:
თბილისში: ბრიქუროვის წიგნისმაღაზიაში.
ქუთაისში: ძმ. ჭელაძეების წიგნის მაღაზიაში.
ყვირილაში: ყვირილის ნაოლის - მცემლის ეკლესიის საეკლესიო ნივთების ალაგში და „მწყემსის" რედაქციაში.
დ. ხონში: ფერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი უფლოთ—ცხრა შაური.

ზემოხსენებულ ადგილებშიევე ისყიდებიან:

ქართული ლოცვანი,

კამოცემა მ. დ. ღამბაშიძისა. ფასი უფლოთ ექვსი შაური და კარგი ყდიანი ცხრა შაური. მღვდლებთათვის **სახელმძღვა-ნელო წიგნი** საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო. ფასი ყდით **ექვსი შაური.** შედ. მ. დ. ღამბაშიძისაგან. **ახალი კარაბადინი,** შედგენილი მისგანვე ყდიანი მანეთად. **ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება,** ფასი **ორი აბაზი.**

ყვირილის საეკლესიო სანთლის საწყობში ისყიდებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო ეკლესიო წიგნები და ნივთები.

შინაარსი: ძნელი დრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად.—ცოტ-ცოტა ყველაფერზე.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ტელეგრამები.—ჟურნალ-გაზეთთაგან.—სიტყვა.—მღვდელთა საყურადღებოდ.—კალენდარული ცნობები.—განცხადება.

Дозволено цензурою Кутаисъ, 20 Марта 1886 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლბეჭდავი ზედგინიძისა ჯ ფერაძისა.